საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2918-02
04/11/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოსთვის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-11 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოში 2 ვაკანტურ ადგილზე;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2022 წლის 7 ნოემბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნით info@iliauni.edu.ge;

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კანდიდატის სახელი და გვარი მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით (კანდიდატი უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი);

ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2022 წლის 15 ნოემბრამდე მიაწოდოს მეცნიერებათა და

ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სია, სახელის, გვარის, პირადი ნომრის მითითებით;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2022 წლის 15 ნოემბრამდე მიაწოდოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა სია, სახელის, გვარის, პირადი ნომრის მითითებით;

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 17 ნოემბერს;

8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალისათვის;

9. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი